

ატენის სიონის სამი გრაფიტი

ატენის სიონის მრავალრიცხოვან წარწერათა შორის გამოიყოფა სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის ერთი ისეთი ქვეყანა, რომლის ცნობები თუმცა ატენის ქვეყანასა და მის უპირველეს ტაძარს — სიონს უკავშირდება, მაგრამ დიდად სცილდება ლოკალურ რეგიონალურ მოვლენებს და სრულიად ახალ ცნობებს გვაწვდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ასეთ წარწერათა რიცხში იქცევა ატენის სიონში ახლად გამოვლენილი სამი გრაფიტი, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

გრაფიტების შესწავლის დროს გაირკვა, რომ მათი ცნობები უკავშირდება სტეფანოზ მამფალს, რომლის გარდაცვალების მაუწყებელი ვრცელი ეპიტაფია აქვე, ატენის სიონის უველაზე საპატიო ნაწილში, საკურთხეველშია მოთავსებული. ამ ეპიტაფიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ამ წარწერის სადავო საკითხების გარკვევა კი შესაძლო ხდება ახლად გამოვლენილი გრაფიტების ცნობათა გათვალისწინებით. შეიხვედრი რომ გაერკვეს ჩვენს განმარტებებში, საჭიროდ მიგვაჩნდა ზოგადად განვთხილოთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოქვეყნებული სხვადასხვა თვალსაზრისი.

სტეფანოზ მამფლის ფრესკული ეპიტაფია XI საუკუნის მონასტრობის ფენის ქვეშ არის მოქცეული. წარწერა მხატვარ-რესტავრატორის — შ. აბრამიშვილის მიერ არის ნაწილობრივ გაწმენდილი. სტეფანოზის ეპიტაფია ორქვრცეა მოქცეული. თ. ხარნაველი წაიკითხა მისი მსოფლოდ ცალკეული სტრიქონები.¹ წარწერის ხანგრძლივი შესწავლის შედეგად ეპიტაფია შედიანად წაეკითხეთ, ნაკლები ადგილები აღადგინეთ და მოწოგარის სახით გამოვსვენეთ.²

სტეფანოზის ეპიტაფიის ნაკლები ადგილების აღდგენის დროს მხოლოდ წარწერის ში. ნაარხიდან და მისი ქრონოლოგიური მინიშნებებიდან გამოვდიოდით. ეპიტაფიის დაზიანებული მცირე მონაკვეთების აღდგენა, კონტექსტის გათვალისწინებით, ადვილად ხერხდება. მთელ სიძნელეს წარმოადგენს ამ დაზიანებული ნაწილის აღდგენა, სადაც, თავის დროზე, დასახელებული უყოფილა ის „ღმრთივეგვირგვინოსანი“ რომლის ზეობის 21-ე წელს გარდაცვლილა სტეფანოზ მამფალი. სახედნიეროდ, წარწერას შემორჩა მიკრით გამოხატული თარიღი — 789 წელი. ეპიტაფია გვაუწყებს, რომ სტეფანოზი გარდაცვლილა 789 წლის 14 ოქტომბერს, პარასკევ დღეს, ღამის I საათზე და უმთავრია 29 წელი. აქედან ირკვევა, რომ სტეფანოზ მამფალი 711 წელს ახულა ხერის მთავრობა ტახტზე. ზუსტად განისაზღვრა იმ „ღმრთივეგვირგვინოსნის“ გამეფების თარიღი — 719 წელი, რომლის ზეობის 21-ე წელს გარდაცვლილა სტეფანოზ მამფალი (789 წლიდან 21 წელი 719 წელზე მოვა). ამგვარად, წარწერის ნაკლებ ადგილზე უნდა აღგვედგინა იმ მეფის სახელი, რომელიც 719 წელს ახულა სამეფო ტახტზე და, სულ მცირე, 21 წელი მინც უმეფია.

719 წელს, არც ბიზანტიაში და არც ხალიფატში არავინ ახულა სამეფო ხუდარზე. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ცნობებით, ამ ხანაში ახეთი პოლიტიკური სიტუაციები ჩანს: 716-717 წლებში კობტანტინოპოლი არაბთა გარემოცვაშია. ამ სამხედრო ოპერაციის ხელშეწყობას მასხაში, 717 წლის გაზაფხულზე არაბთა ალფი დიდძალი ქვეითი არმიათა და ფლოტი გაემდობრებიათ არაბთა დამსმარტ ქვეითი ჯარის ერთ-ერთი მარშრუტი გადიოდა საქართველოზე. სადაც, არაბთა დაშვარს ანაოფიის ბრძოლაში სტეფანოზ II-ის ძეებთან — მიმარსა და არჩილ-

თან დამარცხებულა. არაბთა ქარი გურიის სპე-
რის გავლით ქალკედონში დახანაკებულა, კოს-
ტანტინოპოლის სააღყო ოპერაციაში მონაწი-
ლეობის მისაღებად.

ცნობილია, რომ კოსტანტინოპოლის ეს ალუა
ბიზანტიელთა გამარჯვებით დათავრდა. 718
წლის 18 აგვისტოს მახლამამ მოხსნა კოსტან-
ტინოპოლის ალუა. ჭუნაშვირის ცნობით, შიპრ-
მა და არჩილმა „წარავლინეს მოციქული წინა-
შე ბერძენთა მეფისა“, რაც მხოლოდ 18 აგვი-
სტოს შემდეგ შეიძლება მომხდარიყო. კეი-
სარმა შიპრმა და არჩილს „წარმოსცა ორი
გურჯენი და გუქარა“. აქვე იხილება აღნიშნული,
რომ ანაკოფის ბრძოლაში დაკრძალი შიპრი
ჩქარა გარდაიცვალა. ამდენად, არჩილი უნდა
ყოფილიყო ის ერთადერთი გერმანოზონანი,
რომელიც 719 წ. ახლუა სამეფო ტახტზე. ამის
საფუძვლად გვაძლევს ის, რომ 718 წლის 18
აგვისტოდან 719 წლამდე ოთხ თვეზე ოდნავ
შტია, რაც ბიზანტიაში მოციქულის წახვლას,
იქ სათანადო დამლომბატორი საქმეების მოგ-
ვატებას და უკან დაბრუნებას მოუწოდებდა.

შემოთქმულის გათვალისწინებით, სტეფანოს
მამფლის ეპიტაფიის ნაკლულ ადგილზე ადვა-
დგინეთ არჩილ II (719-745). აქვე იხილ
ნიშნა, რომ ქართულ ნარატულ წყაროებში და
სტეფანოსის ეპიტაფიაში არჩილის მეფედ და-
სახელება მის რეალურ პოლიტიკურ ტიტულს
არ უნდა გამოხატავდეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ეპიტაფია
ქერქერობით ერთადერთია, რომელშიც სტეფა-
ნოს მამფლის პიროვნება სრულიად ახალი სო-
ციალური ტერმინით — „ქართველთა და მეგ-
რელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლით“ გამო-
ისახა. წერილობითი წყაროების შექერების
საფუძველზე, ატენის ეპიტაფიის სტეფანოს
მამფალი, ჩვენს მიერ იდენტიფიცირებულია ქა-
რთლის მოქცევის ნუსხებში და ქართლის ცხო-
ვრებაში დასახელებულ იმ სტეფანოსთან, რო-
მლის მამა დიდი ერისმთავარი ნერსი, ხოლო
პაპა, ვარაზ-ხაყური, ეპიტაფიის შესწავლამ
ცხადუო, რომ „ქართველთა და მეგრელთა ერის-
თავთ-ერისთავთა უფალი“ სტეფანოს მამფა-
ლი იმ დროის უმაღლესი ხელისუფლების
მპყრობელია, რაც, გარკვეული პოლიტიკური
სიტუაციების გართულების შედეგად, VIII სა-
უკუნის 80-იან წლებში ნაწილობრივ დაუთ-
მია.¹

სტეფანოს მამფლის ეპიტაფია საქართველოს
ისტორიის ნაკლებად შესწავლილი პერიოდის
არაერთ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის. ამ
ცნობების მიცნეირული დირებულება იმთავ
არის მნიშვნელოვანი, რომ ეპიტაფია იმ დროს

პოლიტიკური სიტუაციების მომწირისა და
თვითმხილველის მიერ არის დაწერილი.

სრულიად ბუნებრივი იყო ამ მნიშვნელოვანი
პირველწყაროსადმი საქართველოს ისტო-
რიის მკვლევართა დიდი ინტერესი, რაც უახ-
ლეს სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი
სხვადასხვა თვალსაზრისით გამოხატა: ა. ბო-
გვერამი მიიჩნევს, რომ ეპიტაფიაში დასახე-
ლებული სტეფანოსი არჩილისა და შიპრის მამა,
სტეფანოს II ადარნასეს ძეა. ბ. სილაგაძის
შენიშვნით, ახეთ იდენტიფიკაციას საეჭვოდ
ხდის ჭუნაშვირის თხზულებაში დაცული ცნობა,
რომ სტეფანოს II დასავლეთ საქართველოში
გადაიხვეწა და იქვე გარდაიცვალა.² წერად
მიგვაჩნია მკვლევარის ეს შენიშვნა, რადგან
სტეფანოს მამფლის ეპიტაფიისაკენ დამსრო-
ბილი ხამარხი, მისი თანხლებით არქეოლოგიუ-
რი მახალით, VIII საუკუნით თარიღდება,
რაც იმ ერთადერთი დასკვნის საშუალებას გვი-
ტოვებს, რომ სტეფანოსი ატენის ხიონშია და-
კრძალული.

ბ. სილაგაძის საყურადღებო გამოკვლევით,
არაბული და სომხური წერილობითი წყაროე-
ბის ჩვენებით, ჩრდილო კავკასიაში არაბთა ხა-
რდლის ქარაქის ლაშქრობის საპასუხოდ,
730 წელს, აქ მდგარ არაბთა ქარს ხაზარებში
შემოხიზნენ, რაშიც, მკვლევარმა, არჩილ II-ის
ხელს ხედავს. სტეფანოს მამფლის ეპიტაფიისა
და ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი მინაწერის
გათვალისწინებით, ბ. სილაგაძე არჩილ II-ის
ზეობას 718/19-745 წლებით განსაზღვრავს, რაც
ძალზე ახლოა ჩვენს მიერ გამოთვლილ ქრო-
ნოლოგიასთან.³

ა. ბოგვერამის ნაშრომიდან იხე ჩანს, რომ
ხაზართა ამ შემოხივის ინიციატორი ქართველთა
და მეგრელთა ერისთავთა უფალი (რეალურად,
„ერისთავთ-ერისთავთა უფალი“) სტეფანოს
მამფალია, რომელსაც მკვლევარი შიპრისა და
არჩილის მამასთან — სტეფანოს II ადარნასეს
ძესთან აიგივებს.⁴

ნ. შოშიაშვილი, თუმც ხაყონის დასმის წე-
სით, სრულიად მიუღებელ მოსაზრებას გვათ-
ვაზობს. მკვლევარის აზრით, ატენის ხიონი IX
საუკუნის ძველი უნდა იყოს, რადგან ამ ხა-
ნაზე ადრეული წარწერა, მისი რწმენით, ატე-
ნის ხიონში არ დასტურდება (17). ის ერთადე-
რთი დაბრკოლება — სტეფანოს მამფლის
739 წლის თარიღის შემსყელი ეპიტაფია, რაც
ახეთი თვალსაზრისის ხელის შემშლელად გა-
მოდიოდა, მკვლევარმა მხოლოდ იმით გადალა-
ხა, რომ ეკვი შეიტანა სრულიად მკაფიოდ გა-
მოსახულ თარიღის სისწორეში. ნ. შოშიაშვილს
ახეთი დასკვნის საფუძველს აძლევს, ჩვენთვის
ძალზე ბუნდოვანი, პალეოგრაფიული ნიშნები,
რომელთა მიხედვით, მექანიკურ შეცდომად მი-

იჩნევს ბიჭრით გამოხატულ 758 წელს და ასეთი პალეოგრაფიული ნიშნებისათვის შესაფერისად ესახება, რომ აქ 838 წელი უნდა იგულისხმებოდეს.⁹ აქ აღარას ვიტყვი ატენის ხიონის სხვა წარწერების შესახებ, რომლებსაც ნ. შოშიაშვილი ასევე ძალზე ზოგადი და გაურკვეველი პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე ერთი საუკუნით აძველებს. ამის შესახებ შემდეგ გვიქნება საუბარი. აქ კი მხოლოდ ამის თქმა გვინდა, რომ, თავის დროზე, გ. ჩუბინაშვილმა ხელოვნებათმცოდნეობის კვლევის მეთოდებით შეისწავლა მცხეთის ქვარის ბუროთმოძღვრული ტიპის ძეგლები და ატენის ხიონის მშენებლობის ხანა VII საუკუნით განსაზღვრა.¹⁰ თუ საერთოდ უგულებელვუყოფდით ხელოვნებათმცოდნეობით კვლევის შედეგებს და მხოლოდ წარწერებს დავეუბრდებოდით, უნდა შევნიშნოთ, რომ ატენის ხიონის არც ერთ წარწერაში არ დახტურდება ამ ტიპის IX საუკუნეში აგების ცნობა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ნ. შოშიაშვილის მხოლოდ პალეოგრაფიული არგუმენტები, რომელთა მიხედვითაც გადაათარია სტეფანოსის ეპიტაფია და მასთან ერთად ატენის ხიონის, საფუძველს მოკლებულია. ახლად გამოვლენილი გრაფიტებით ირკვევა, რომ სტეფანოსის ეპიტაფიის თარიღს არავითარი გადაკეთება არ სჭირდება. ამდენად, ნ. შოშიაშვილის ასეთი მოსაზრებისათვის გადაულახავი დარჩენა VIII საუკუნის ეპიგრაფიული ძეგლი. ხელის შემშლელად გამოვა ის ფაქტიც, რომ ატენის ხიონის არც ლაპიდარული და არც ფრესკული წარწერები ბოლომდე არ არის გამოვლენილი და შესწავლილი. მოხატულობის ფენის ქვეშ მოკლილია, მრავალი ფრესკული წარწერა, რომელთა მხოლოდ ცალკეული გრაფიტები მოჩანს. ჩვენ კი მათი არც შინაარსი და არც თარიღი ვიცით. ამიტომაც ვთვლით ნაჩქარევად ნ. შოშიაშვილის დასკვნას, ატენის ხიონისა და მისი წარწერების ქრონოლოგიის საკითხებს რომ შეეხება.

არც ატენის ხიონის ლაპიდარული წარწერების შესწავლის საქმეა უკეთეს დღეში. თითქმის ხელუხლებელია და უურადღების გარეშეა დარჩენილი პილიგრიმთა და მავედრებელთა მრავალრიცხოვანი გრაფიტები, რომელთა რაოდენობა, ალბათ, ხამინშნა რიცხვით გამოიხატება. ასეთი ხასიათის გრაფიტების გაცნობამ დაჯარწმუნა, რომ მათი ერთი ნაწილი ძალზე საურადღებო ისტორიულ ცნობებს შეიცავს. სწორედ ასეთ სამ გრაფიტზე გვიქნება ქვემოთ საუბარი. შემოთავაზდნისა, რომ ეს გრაფიტები, შინაარსობრივად სტეფანოს მამფალს უკა-

ვშირდებიან და ძალზე საურადღებო ცნობებს გვაწვდიან იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა.

სამ გრაფიტს სტეფანოს მამფლის ეპიტაფიის გამოკვეთების შემდეგ მივაკვლიეთ. ამდენად, მათი ცნობები, რაც თავის დროზე დიდ დახმარებას გავიწვევდა სტეფანოსის იდენტიფიკაციაში და მასთან დაკავშირებულ საკითხების გარკვევაში, ცხადია, ვერ აისახებოდა ჩვენს პუბლიკაციაში. უკვლა ამ ძირითადი მოსაზრება და ვარაუდი, რაც თავის დროზე გამოვთქვით სტეფანოს მამფლის ეპიტაფიასთან დაკავშირებით, სრულ დადასტურებას პოულობს ახლად გამოვლენილ სამ გრაფიტში.

ატენის ხიონის ინტერიერში, გუმბათქვეშა ჩრდილო-დასავლეთი შეკრების ბათქაშზე, იატაკიდან 170 სმ სიმაღლეზე ჩვენი განსახილველი ორი გრაფიტია მოთავსებული, ფრესკულ და ამოკაწვრით შეხრულბულ სხვა წარწერებთან ერთად. მესამე გრაფიტი ამავე შეკრების ვიწრო წახნაგზე, იატაკიდან 160 სმ სიმაღლეზეა ბათქაშზე ამოკეთილი. XI საუკუნიდან ამ გრაფიტებს მოხატულობის ფერადოვანი ფენა ფარავდა. ხაღბავის ჩამოკეციის შედეგად გამოჩენილ წარწერათა ცალკეულ მონაკვეთებზე, ამონაკაწრ გრაფიტებში, დღემდე დარჩენილი ხაღბავის ფენა, ამიტომ მათი წაკითხვა მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მოხერხდა.

შეკრების ბათქაშზე ამოკაწრული გრაფიტები ერთმანეთის გვერდიგვერდ არიან მოთავსებული. მარცხნივ, სამსტრიქონიანი დიდი ზომის გრაფიტებით შეხრულბული წარწერაა, მარჯვნივ, საკმაოდ წვრილი ასონიშნებით ამოკაწრული ოთხსტრიქონიანი გრაფიტია მოთავსებული. ორივე წარწერა მოხახხინებელია, შეხრულბულია გაკრული ნუხხურით, მათში ჩართული „ა“, „თ“, „ი“ მხედრული გრაფიტებით. ნუხხურიდან მხედრულზე გარდამავალია „დ“, „ჟ“, „წ“ ასონიშნები. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს ორი წარწერა იმდენად ერთგვაროვანია, რომ მათი ერთდროულად ან დროის მცირე მონაკვეთის განსხვავებით ამოკაწრვა ექვს არ იწვევს.

ოთხსტრიქონიანი გრაფიტი ნაკლებია. ბათქაშის ჩამორღვევის გამო წარწერის მარჯვენა ნაწილი დაღუპულა, რაც საგრძობლად ართულებს მთლიანი ტექსტის დადგენას. დაზიანებულია წარწერის მცირე მონაკვეთები, რომელთა აღდგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ქვემოთ მოგვჯეკს ნაკლები წარწერის გრაფიკული მონახაზი.

ქვემოთაა აღწერილია ანუ პირველად ანუ წინასწარ აღწერილია
 ჩვენს ხელისუფლებისა და „ქვემოთაა“
 შესაძლებელია დასაბუთება
 რომ ეს არის სწორი

პირველივე სტრიქონიდან ჩანს, რომ გრაფიტი ჩვეულებრივი მოსახსენებელი არ არის. მხოლოდ წარწერის დასაწყისი და ბოლო სტრიქონის ფორმა მიგვანიშნებს მის მოსახსენებელ დანიშნულებაზე. მთლიანად კი, ამ წარწერის შინაარსი, ამბავის გადმოცემის ფორმა სრულად ოფიციალური ხასიათისაა და ისტორიულ-პრობლემატიკის უფროა შესაფერისი, ვიდრე ჩვეულებრივი მოსახსენებლისათვის.

პირველი ნაკლები სტრიქონი ასე იკითხება: „ქ. ესე მე დ(ა) ვწერე იოანემან. ვარდან კეიხარ (sic) მისცა...“ სამწუხაროდ, ბათქაში იქ არის ჩამორღვეული, ხადაც დასახლებული იქნებოდა თუ ვის, ან რა მისცა კეიხარმა. ექვს გარეშეა, ბიზანტიის კეისრისაგან რაიმეს მიცემა, მიმღების პოლიტიკური ორიენტაციის გარდა, გულისხმობს სოციალურად დაწინაურებულ ან უმაღლეს საფეხურზე მდგომ პიროვნებას.

უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობის შემსყველია მეორე სტრიქონი, რომელშიც წარწერის დედაწერაა გადმოცემული. მეორე ნაკლები სტრიქონი ასე იკითხება: „ნ(რ)-ხესა ძე, დარი დ(მ)რთისაჲ (შე რ(ა)ც) ხეს და ვარაჲ მ——“. აქედან ცხადი ხდება, რომ ბიზანტიის კეიხარს — ვარდანს ნერსეს ძისათვის ისეთი რამ უნდა ებოძებინა, რაც შესაფერისი იქნებოდა მისი შერაცხებისათვის, რაც დიდებულად. წარჩინებულად, მთავრად მიჩნევას აღნიშნავს (იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1978). ამაზე მიგვანიშნებს წარწერაში მოტანილი ამბის თხრობის თანმიმდევრობა — ქერ კეისრისაგან ბოძება, ხოლო შემდეგ, „ღმრთის დარის“ — ნერსეს ძის შერაცხვა.

ექვს გარეშეა, იოანეს წარწერა ნერსეს ძის უმაღლესი ბელისუფლების საუღარზე კურთხევის შესახებ მოგვითხრობს. შეუძლებელია სხვა ახსნა მოექმნოს ბიზანტიის კეისრისაგან ბოძების შემდეგ, ხაზგასმულად საუბრისოდ, ალფორიული ფორმით გამოხატულ ახეთ განცხადებებს.

საუკრადლებოა, რომ წარწერაში მოტანილი ეპითეტი — „დარი ღმრთისაჲ“, შეესატყვისებ-

ბა ბაგრატიონთა სამეფო შტოს ტიტულატურაში ხაზგასმულად გამოცხადებულ. მიწიერ უფლად დაღვინების ზეციური ნების ფორმულირებას. ახეთებია: „ღმრთივეგვირგვინოსანი“, „ღმრთივედამუარებული“, „უფლისა მიერ დამუარებული“, „ღმრთივე აღმართებული“, „ქრისტეს მიერ დამუარებული“ და სხვა, მაგრამ მისი უველაზე ახლოს მდგომი ფორმა მაინც „ღმრთისა სწორია“, როგორცაც ახახულებენ თამარს, გიორგი ლაშას და დავით ნარინს.¹¹ იოანეს გრაფიტიში გამოცხადებული ნერსეს ძის კურთხევა ბევრად ადრე მომხდარი ფაქტია აზრობრივად და ფორმით იდენტური ეპითეტების სხვადასხვა ხანაში სმარება გვარწმუნებს, რომ ეს ფორმა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ტიტულატურაში შედარებით მოგვიანო ეპოქაშიც გამოიყენებოდა.

„წესი და განგებაჲ მეფეთა კურთხევისა“ რომელიც XIII საუკუნის განეკუთვნება, ხა. მეფო საუღარზე კურთხევის უპირველეს იურიდიულ გამოხატულებად მიიჩნევა გვირგვინს, სეკეტრას პორფირს და ბისონს.¹² სამეფო ინსიგნიებში დასახლებულია აგრეთვე: დროშა, შუბი და ხმალი. შესაძლოა, მახვილის შემის ცერემონიალი რაღაც განსაკუთრებულ წესით სრულდებოდა. მაცხვანთის 1140 წლის მონატულმობაში საგანგებოდაა გამოხატული ან რიტუალის ამსახველი სცენა, ხადაც, დავით აღმაშენებლის ძეს — დემეტრე I-ს „ქრამალსა ახამენ დავითისანსა ერისთავანსა“.¹³

ქართულ ნარატულ წყაროებში ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მეფეთა თუ ერისმთავართა კურთხევის წესზე არაფერია თქმული. გუარამ კურაპალატის (545)მ-585(მ) შესახებ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ „მოსცა კეისარმა კურაპალატობა, და წარმოგზავნა მცხეთას“.¹⁴ მისი ძის—სტეფანოსის (590/1-604/5) საერისმთავრო საუღარზე დაქდომის პოლიტიკურ სიტუაციას ქუანდრები ასე გამოხატავს: „მოკულა გუარამ კურაპალატი. და დაქდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა-მთავრად ხადოღეს“.¹⁵ აქედან ისა

ჩანს, რომ სტეფანოსს სამეფო უფლებანი ეპყრა. შოი მღვდმელის მერვე სახწაულთმოქმედებაში აკი აცხადებს კიდევ სტეფანოსი, „რამეთუ მე შეფეთა საუდართა ვში“.¹⁶

უწარადლებს იმხაბურებს VIII ხაუწუნის მეფეთა თუ მთავართა კურთხევის ის ხიტუაცია, რაც სტეფანოს II-ის ძებებთან — მიძრხა და არჩილთან არის დაკავშირებული. ზემოთაც დავიმოწმეთ ქუანშერის თხზულების ის ცნობა, რომ ბიზანტიის კეისარმა მიძრხა და არჩილს „წარმოსცა ორი გვრჯინი და გუქარი“.¹⁷ ზემოთ უკვე ითქვა, რომ სტეფანოს მამულის ეპიტაფიაში და ქართულ წერილობით წყაროებში არჩილის მეფედ დასახელება რეალურ პოლიტიკურ ტიტულს არ უნდა გამოხატავდეს.¹⁸ უფრო მეტად ეს ითქმის არჩილის უფროს ძმანე მიძრხე. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის კეისარი ორივე ძმას გვირგვინს უგზავნის.

ჩვენს უწარადლება მიიქცია მთავართა და ერისთავთა კურთხევის წესში დადასტურებულმა ცერემონიალმა: „რუამს შიანიტებდეს ღმერთი პატაცხა ერისმთავრობისახა, განიბანოს გუამი უოველი და შეიმოსოს ხაოსხელი, ვითარცა შენის მეფეთა“.¹⁹ „ქველი ერისთავთა“ გუაწუქებს, რომ როსტომის ქსნის ერისთავად დადგინების დროს ბიზანტიის კეისარმა „მიუბოძა შუდნი ეხე კეენი, განხაგებელნი გულებიისანი და უოველნი აწნაურნი მკვდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაწმისკეცისა. და შემოსა ხაოსლითა მით, რომელ ეოსა მათნი შეფეხა, და შეაცურა ბეჭედი და ხაურა და სარტული თვისი, ხაქურველი და ცხენი თორისანი, დროსი და შუბი“.²⁰

იოანეს გრაფიტი, რომელშიც აიხანა იმ დროის უმაღლესი ხელისუფლების საუდარზე კურთხევის ცერემონიალი. ქრტირობით, ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთა შორის უძველესია. დახანანია, რომ წარწერა ნაკლულია და მასში ახახული კურთხევის შესახებ არახრულ ინფორმაციას ვიღებთ. კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვი, რა უნდა ებოძებინა ბიზანტიის კეისარს ნერსეს ძისათვის, მაგრამ მეფეთა, მთავართა და ერისთავთა ზემოთ დამოწმებული კურთხევის წესით, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სამეფო შესამოხელი საუდარზე დაქდობა და გვირგვინის კურთხევა. ისტორიული ხახათის წერილობითი წყაროები მეფეთა კურთხევის აქტს ძალზე ლაკონურად — გვირგვინის კურთხევით, დადგმით თუ მიცემაწარმოცემით გამოხატავენ. ახე გუაწუქებს ქუანშერი ვახტანგ გორგახლის მცირეწლოვან ძეზე — დარჩიე: „დაადგა გვრჯინი და დარტუვა მეფედ“.²¹ დავით აღმაშენებელმა „დახუა ძე მისი დემეტრე და დაადგა გვრჯინი თუთ მისითა კელითა“.²² ზემოთ იხილ ითქვა, რომ ბიზანტიის კეისარმა მიძრხა და არჩილს ორი გვირგვინი გამოუგზავნა.

იოანეს გრაფიტის ორი ხტრიქონის შინაარ-

ხის მიხედვით შესაძლოდ გვეჩვენება ბიზანტიის კეისრისაგან ნერსეს ძისათვის გვირგვინის მიცემა ვივარაუდოთ. ასეთი აღდგენა თუ მხოლოდ ვარაუდზეა დამუარებული, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი ხტრიქონის დახახრულს გამოცხადებული იქნებოდა იმ პიროვნების ხახელი, რომელსაც ბიზანტიის კეისრისაგან, ხაფიქრებელია, გვირგვინი მიუღია, ხაერისმთავრო ტახტზე უკურთხებიით და „ღმრთის დარი“, შეურაცხავთ. მეორე ხტრიქონიდან ვგებულობთ, რომ ეს ახლადკურთხეული ნერსეს ძეა.

ბოლომდე გარკვეველი რჩება მეორე ხტრიქონში დახახელებული ვარაზის როლი ამ კურთხევაში, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ამ ხიტუაციის მიხედვით გამოცხადება ნერსეს ძის კურთხევისთან რაღაც კავშირში უნდა უოფილიყო.

მესამე ნაკლული ხტრიქონი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ნერსეს ძის ხახელი, რომელიც მეორე ხტრიქონის დახახრულს უოფილათვის დროზე ამოვეთილი და ბათქაშის ჩამოშლის გამო დაღუპულია. ასეთი დაცენის ხაფუძველს გვაძლევს ამ პიროვნების ხახელი ბოლო ორი გრაფიტი, რომლებიც, მის ხახელწოდებასთან ერთად, მესამე ხტრიქონზე გაღმოდის და ახე იკითხება: „ოზ მამფალსა და წაღმართ[ცა] ცნეს ღმ———“. კონტექსტის გათვალისწინებით ეს ხტრიქონი „ღმ“ გრაფიტიების მიხედვით ახე გავაგრძელოთ: „ღ(ა)მ[უარება მისი]“, რაც ნაკლულ ხტრიქონს ახეთ ხახეს აძლევს: „ოზ მამფალსა და წაღმართ[ცა] ცნეს ღ(ა)მ[უარება მისი]“. მესამე ხტრიქონიდან კარგად ჩანს, რომ მამულის „ღამუარება“ „წაღმართ[ცა] ცნეს“ და, ცხადია, იგია ის ახლად ნაკურთხი, ღმრთის დარი, შეურაცხილი ნერსეს ძე, რომლის ხახელი „ოზ“ით მთავრდება.

უფიქრობთ, ბუნებრივი უნდა იყოს ამ ნაკლულ ხახელში [ხტეფან]ოზ მამფალი დავინახოთ. როგორც ვიცით, მისი გარდაცვალების მუწუხებელი წარწერა აქვე, ატენის ხიონის უველზე საპატიო ნაწილში — ხაკურთხეველშია მოთავსებული და აქვე უოფილა დაქრძაღულია. იოანეს წარწერიდან კი ვგებულობთ, რომ სტეფანოსის ხაერისმთავრო საუდარზე კურთხევის ცნობა, თავის დროზე, აქვე, ატენის ხიონშივე ახახულა.

ზემოთაც აღინიშნა, რომ სტეფანოს მამულის ეპიტაფიის შესწავლის შედეგად იმ დაცენამდე მივედით, რომ „ქართველითა და მეგრელითა ერისთავთ-ერისთავთა უფალი“ — სტეფანოსის პიროვნებაა, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში დიდ ერისმთავრო ნერსეს ძედ და ვარაზ ბაკურის შვილიშვილადაა დასახელებული. ახლად გამოვლენილი იოანეს გრაფიტი ადასტურებს ასეთ იდენტიფიკაციას. სტეფანოს მამფალი ამ წარწერაში ნერსეს ძედ მოიხსენი-

ება. აქვე, სტეფანოზის კურთხევასთან რაღაც კავშირში, დასახელებულია ვარაზიც. ცხადია, მხოლოდ ვარაუდის სახით, ხომ არ შეიძლება იყოს და გვიფიქრა, რომ მეორე ნაკლებ სტრაქონში სტეფანოზის პაპის — ვარაზის „ქრმალის“ შემზავე უფილიყო თქმული. უფილივე ზემოთქმული ვარაუდს ვერ სცილდება და ამ ნაწილის აღდგენაზე თავს ვიკავებთ. ის კი რეალურად გვეხება, რომ ვარაზი, რაღაც მსგავს სიტუაციასთან კავშირშია აქ დასახელებული.

მეოთხე სტრაქონი მთლიანად დაცული. მისი მხოლოდ მცირე მონაკვეთებია დაზიანებული. ბოლო სტრაქონი ახე იკითხება: „ლოყას(ა) მომიქსენე“. ამ [ენ]“. საუარაუდოდ, მესამე სტრაქონის დახასრულს ახე აღვადგინოთ: „ყვის წაიკითხოს“.

ამგვარად, იოანეს მოხახხენებელი გრაფიტი, რომლის ფორმა ისტორიული ქრონიკისათვის უფროა შესაფერისი, მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა და ახეთ სახეს იღებს: 1. კ. ეხე მე დ(ა)-ვწერე იოანემან. ვარდან კახარ მისცა გვრგვინ(7) და სტეფანოზ 2. ნე(რ)სება ძე, დარი დ(მრ)თისაჲ, შერაცხეს და ვარაზ მ—————[სტეფან]. 3. ოზ მამფლა და წაღმართ(ცა) [ცნეს დ(ა)მ]ყარება მიხი. ვინ წაიკითხოს]. 4. ლოყას(ა) მომიქსენე, ამ[ენ]“.

წარწერა უთარიდა, მაგრამ მასში მოტანილი ცნობების და ისტორიულ პირთა გათვალისწინებით გრაფიტის შესრულების დრო ზუსტად განისაზღვრა. როგორც ვნახეთ, წარწერა სტეფანოზ მამფლის საერისმთავრო საუღარზე კურთხევის შესახებ მოგვითხრობს. სტეფანოზის ეპიტაფიის საკმაოდ დაწერილებითი ქრონოლოგიური მითითებებიდან ვიცით, რომ მას 29 წელი უმთავრია, 789 გარდაცვლილა და 711 წელს ახულა საერისმთავრო ტახტზე, ბუნებრივია, სტეფანოზის კურთხევის ცნობის შემტველი ეს წარწერა 711 წელს ამოყვეთილად უნდა მივიჩნიოთ.

იოანეს გრაფიტი კიდევ ერთი ქრონოლოგიური მითითებაა. ეს არის ბიზანტიის კეისარი ვარდანი, რომლის ზეობის წლები ზუსტად არის განსაზღვრული სამეცნიერო ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ბიზანტიის კეისარის — იუსტინიანე II-ის (685-695; 705-711) ძალაუფლება 695 წელს დაამხო ლეონტიმ და ბიზანტიის სამშეარატორო ტახტზე დაქდა. იუსტინიანე II ბერსონეში გადაახახლეს, საიდანაც იგი ცდილობდა წართმეული ტახტის დაბრუნებას. 698 წელს აფხიმარმა წაართვა ლეონტის ბიზანტიის სამეფო ტახტი. ამავე წელს, აფხიმარმა ბერსონეში გადაახახლა, როგორც ფიქრობენ, ეროვნებით სომეხი ვარდანი, როგორც ბიზანტიის სამეფო ტახტის დაპყრობაზე ეჭვიტანი-

ლი. 705 წელს იუსტინიანე II-მ კვლავ დაბრუნა სამეფო ტახტი. მის მიერ გატარებულმა რეაქციულმა რეჟიმმა ხალხში საერთო აღშფოთება გამოიწვია. ბერსონეში ამბოხდა იუსტინიანეს წინააღმდეგ. ამ ამბოხებას სათავეში ედგა ვარდანი, რომელმაც, ხაზარების მხარდაკერით და დახმარებით, დააპყრო ბიზანტიის სამეფო ტახტი 711 წლის ოქტომბრის თვეში. ვარდანმა იუსტინიანე II მოაკვლევინა, ამ ხანიდან ბიზანტიის სამეფო ტახტზე ზის ვარდანი, რომელმაც მეფედ კურთხევის დღეს ფილაქე დაირქვა. ვარდანი ხულ რვა თვის მანძილზე ფლობდა ბიზანტიის სამეფო საუღარს, რაც 711-712 წლებზე მოდის. 712 წლის 8 ივნისს, შახათ დღეს, ვარდანი შეთქმულების მსხვერპლი გამხდარა. იგი დაუბრმავებიათ და სამეფო ტახტიდან გადაუყენებიათ.23

ეს ორი ქრონოლოგიური მითითება რეალურ საფუძველს გაძლევს ვიწმუნოთ, რომ სტეფანოზ მამფალი 711 წლის ოქტომბერ-დეკემბრის დროის მონაკვეთში უკურთხებიათ საერისმთავრო ტახტზე. ამავე დროს უნდა ამოეკარა იოანეს თავისი გრაფიტი. უფილ შემთვევაში, ამ წარწერის თარიღი 712 წლის 8 ივნისს ვეღარ ვადაცდება.

უზრადლებას იქცევს იოანეს მოხახხენებელ წარწერაში ამბის მკაფიოდ და ლაკონურად გაღმოცემის სტილი. სრულიად აშკარაა ემათა. აღმწერლის გაწაფული ბელი, თხრობის თანმიმდევრულობის ისტორიული ქრონიკის სახით დალაგება. ერთი ცხადია, რომ იოანეს გრაფიტი არ არის ისეთი ოფიციალური ხასიათისა, როგორც სტეფანოზის ფრესკული ეპიტაფია. ეს გრაფიტი, თავისი დანიშნულებით, მაინც არის მოხახხენებელი, თუმცა მასში აჩაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობა — აიხახა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წერის ახეთი სტილი იოანეს პროფესიული ჩვევით იყო შეპირობებული.

მეორე გრაფიტი იოანეს წარწერიდან მარცხნივ, ბათქაშუაა ამოყარული. ზემოთაც ითქვა, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ მოთავსებული ეს ორი წარწერა პალეოგრაფიული ერთგვაროვნებით ხასიათდება და, ამდენად, ორივე 711 წელს შესრულებულად მივჩინია.

მეორე გრაფიტი ხამსტრაქონიანია, შესრულებულია გაკრული ნუხხურით, რომელშიც ჩართულია „ა“, „ო“, „ი“ მხედრული გრაფიტი. ნუხხურიდან მხედრულზე გარდამავალია „კ“. წარწერა ძირითადად კარგად არის დაცული. მეორე სტრაქონის დაზიანებული ნაწილის აღდგენა კარგად ბერსდება. ქვემოთ მოგვაქვს წარწერის გრაფიკული მონახახი.

წარწერაში ორი ხიტყვაა დაქარაგმებული, რომელთაგან ერთი „ნე(რ)ხ(ე)ხა“-დ იხსენიება. მეორე ქარაგმა — „ლმა“. კონტექსტის მიხედვით „ლოცვა“ უნდა იყოს. წარწერა ასე იკითხება: „პარახეცვა იხ(ი)ლ(ე)ნე(რ)ხ(ე)ხა ლ(ოც-ვა)ა“.

გრაფიკის შინაარსით იხე ჩანს, რომ პარახეცვ დღეს ნერსებათვის პარაკლისი უნდა გადაეხადათ. ადაის ვაჩენაზე რომ უოფილიყო თქმული, აუცილებელი იყო რომელიმე ხატულებიო დღესასწაულთან დაკავშირებინათ, აქვე, გურგანელის წარწერაში ნათქვამია, რომ შირიან თარხუნის ძეს თედორის ძეს დღე გაუჩინეს ალადად.26 ჩვენს წარწერაში კი მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ ნერსებს ლოცვა პარახეცვ დღეს უოფილა.

ამ გრაფიკში დასახელებული ნერსებს იდენტოფიკაცია ექვს არ უნდა იწვევდეს, რადგან იგი იმ წარწერათა რიგშია მოქცეული, ხადაც უფრო ნერსება დასახელებული როგორც სტეფანოზ მამულის მამა. იქვე, ნერსებს მამა-ვარაზიც არის მოხსენიებული და, ბოლოს, ნერსებს შვილიშვილი და სტეფანოზის ძე — გიორგიც.

ნერსებს გრაფიკის თარიღზე გადამართ რამდენიმე თქმა ძნელდება. იოანეს გრაფიტიდან თითქოს იხე უნდა ჩანდეს, რომ სტეფანოზ მამულის კურთხევის დროს ნერსე ცოცხალია. თუ ეს ასეა, მაშინ, ნერსებს გრაფიტი 711 წლის შემდეგ, VIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა ამოკვეთათ, ნერსებს გარდაცვალების ახლო ხანებში.

ატენის სიონის რელიეფების სტილისტურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლამ გვაჩვენა, რომ X საუკუნის მიწურულს აქ ჩატარებული სარესტავრაციო ხაშუშაოები რელიეფების უმეტეს ნაწილსაც შეეხო ტაძრის რესტავრაციის პერიოდში შეიცვალა არაერთი სკულპტურული გამოხატულება, რაც ერთდროულად შეუსრულებიათ ოსტატთა ამქარს, თოდოხაკის ხაერთო ხელმძღვანელობით. ერთდროულად გამოკვეთა მრავალრიცხოვან რელიეფთა და სარკმელთა თავსართებიცა, რომელთა რაოდენობა ოცს აღემატება, მოითხოვდა შედგენილ გამოხატულებათა დანაშრავს და ფასადებზე მათი განაწილების ტაოგრაფიულ მინიშნებას. ამის მაგალითები მართლაც დასტურდება ატენის სიონის რესტავრაციის ხანის რელიეფებზე.

აღმოსავლეთის ფასადის შვერილის ჩრდილო წახნაგზე, ერთ-ერთი კტიტორული გამოხატულების ფეხების ქუსლებზე(?) ქართული ნუსხური წერილი შრიფტით ამოკვეთილია: მარჯვენა ფეხზე — „ნერსე“, მარცხენაზე — „სტეფანოზ“. ეს წარწერები იმდენად წერილი გრაფიკებითაა შესრულებული, რომ სრულიად შეუჩინველია მხახველისათვის და მათი არსებობა მხოლოდ ამ რელიეფური გამოხატულების პირის ვადმოდების დროს გახდა ცნობილი.

თავის დროზე გამოვქვით ვარაუდა, რომ ფეხების ქუსლებზე ამოკვეთილი ეს სახელე-ბი, X საუკუნის მიწურულს შეტარებული ამ რელიეფური ფიგურის ტაოგრაფიული მინიშნების მიზნით ამოკვეთა ოსტატმა. განახლებული კტიტორული გამოხატულება შვერილის იმ წახნაგზე უნდა მოეთავსებინათ, ხადაც, თავის დროზე, ნერსებს და სტეფანოზის იმდროისათვის დაზიანებული, კტიტორული რელიეფური ფიგურები უოფილა გამოხატული. ის ფაქტი, რომ ამ ახლად ამოკვეთილი კტიტორის ტაოგრაფიულ მითითებად ორი პირიკენებაა დასახელებული, გვაფიქრებინებს, რომ VII საუკუნის თავდაპირველ რელიეფზე ერთად უნდა უოფილიყო გამოხატული ნერსე და სტეფანოზი.27

გ. ჩუბინაშვილმა დამაქრებლად აჩვენა, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარი ზუსტად იმეორებს მცხეთის ქვარის არქიტექტურულ თემას.28 ცხადაა, აქ იგულისხმება მისი დეკორაციული სისტემა. ამ თვალსაზრისით რომ შევაფასოთ ატენის სიონის აღმოსავლეთის ფასადზე განაწილებული კტიტორული გამოხატულებები, ვფიქრობთ, მტრ სიცხადეს შესძენს ჩვენს ვარაუდს. მცხეთის ქვარის აღმოსავლეთის ფასადის შვერილზე განაწილებულ სამ კტიტორულ რელიეფთა შორის მხოლოდ ჩრდილოეთის წახნაგზეა ერთად გამოხატული ორი კტიტორი — ადრნერსე უპატოსი და მისი ძე ქობული.30 ატენის სიონის ზემოთ დასახელებული ტაოგრაფიული მინიშნება გვაყარადებინებს, რომ შვერილის მძვე, ჩრდილო წახნაგზე უნდა უოფილიყო თავის დროზე ერთად გამოხატული ნერსე და სტეფანოზი. ამ პირიკენებათა დასახელების რიგი იმაზეც მივითითებს, რომ ნერსე უფროსია (მამა?), ხოლო სტეფანოზი უმცროსი (ძე?). მცხეთის ქვარისა და ატენის სიონის ამ რელიეფების ერთგვაროვანი რეგლამენტაცია კარგად შეესატყვისება გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმულ იმ თვალსაზრისს, რომ ატენის სიონის ხუროთმოძღვარი დეტალებშიც კი იმეორებს მცხეთის ქვარს.31

ჩვენს მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებაზე, რომ ატენის სიონის რელიეფთა ერთი ნაწილი X საუკუნის მეორე ნახევარშია შესრულებული, ასეთი აზრი გამოითქვა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში. ნ. ალადაშვილის დაკვირვებით, ატენის სიონის რელიეფების ერთი ჭკუფი მართლაც აღძრავს ასეთ ექვს, მათი ორგვაროვანი სტილისტური ხახაითით. ამ რელიეფებში შინიშნება როგორც X საუკუნისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები, ისე, VI-VII საუკუნეების ცალკეული ტექნიკური ხერხები, და იკონოგრაფიული ელემენტები. მკვლევარს შეხატებლად მიაჩნია იმ თვალსაზრისის დაშვება, რომ ატენის სიონის რელიეფთა ერთი ჭკუფი X საუკუნის განეუთვნე

ბა, მხოლოდ იმ პირობით, თუ დაუშვებთ, რომ X საუკუნის რესტავრაციები VII საუკუნის რელიეფებს თვალისწინებდნენ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ატენის ხიონის ხარესტავრაციო პერიოდის რელიეფების ორგანიზაცია სტილი.³²

მთავითვე ჩვენს ამ თვალსაზრისზე ვიდუქით და, ამდენად, ნ. ალადაშვილის ეს მოსაზრება ჩვენთვის მისაღებია. შუა საუკუნეების ხელოვნებაში არაერთი მაგალითი დახტურდება, როდესაც რესტავრაციები ცდილობენ ისე აღედგინათ დაზიანებული ნაწარმოები, რომ მას თავდაპირველი იერო არ დაეკარგა. მხოლოდ ბედვად იმისა, რომ მათში მაინც მკაფიოდ გამოიკვეთებოდა ხოლმე რესტავრაციის პერიოდის სტალიტური ნიშნები. ბუნებრივად მიიგვანია, რომ ატენის ხიონის ხელოვნარესტავრაციებს გათვალისწინებინათ ძველი რელიეფები, განსაკუთრებით ის თავდაპირველი ქტიტორული გამოსახულებანი, რომელთა მიხედვით შესძლებდნენ მხოლოდ განახლებინათ ტაძრის თავდაპირველი მასშინებლების სკულპტორული ფიგურები, მათი ტიპისა და ჩამოშლის დაკვირვება. ძველი რელიეფებისაღმის ახეთი მიმხამელობა იმ ქტიტორთა ქანდაკებებშიც აირკველა, რომლებიც, ჩვენი აზრით, რესტავრაციის დროისანი არიან, ტაძრის ამავე ჩრდილოეთის წახნაგზე, როგორც ეს მცხეთის ქვარში დახტურდება, ქტიტორთა ორფიგურისანი რელიეფი უნდა უოფილიყო მოთავსებულთ. მათი სახელები — ნერსე და სტეფანოზი შემოგვინახა X საუკუნეში განახლებულმა ქტიტორულმა გამოსახულებამ.

ბუნებრივად დგება საკითხი ნერსესა და სტეფანოზის იდენტოფიკაციის შესახებ. როგორც ვიცით, სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია ტაძრის უველაზე მნიშვნელოვან ნაწილში — საკურთხეველშია მოთავსებული. ატენის ხიონში შეგვა დაქრძალული სტეფანოზი. იოანეს წარწერიდან ირკვევა, რომ სტეფანოზ მამფლის ხერისმთავრო ხაუდარზე კურთხევის ცნობა აქვე, ატენის ხიონის კედლებზე აიხახა, ეპიტაფიისა და იოანეს გრაფიტიის ქრონოლოგიური შეჭერება ცხადყოფს, რომ ორივე წარწერაში დასახელებული სტეფანოზ მამფალი ერთი და იგივე პირიყენება. ამავე ტაძრის წარწერაშია დასახელებული სტეფანოზ მამფლის მამა — ნერსე და მისი პაპა — ვარაზი. ისიც ცნობილი გახდა, რომ ნერსეს პარაკლესი (როგორც ამას ვვარაუდობთ) ატენის ხიონში შეუხრულებიათ. ატენის ხიონშივე აიხახა სტეფანოზ მამფლის ძის — გეორგის გრაფიტი. ახეთი ჰარბი ინფორმაცია ვარაზის შთამომავალ პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ გვარწმუნებს, რომ X საუკუნის რელიეფის ტაპოგრაფიულ მინიშნებაში იგულისხმება ატენის ხიონის წარწერებშივე არაერთხელ ნახხენები დიდი ერისთავი ნერსე და მისი ძე — „ქართველთა

და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი“ სტეფანოზ მამფალი, რომელთა ქტიტორული გამოსახულება რესტავრაციის დროს ახლით შეუცვლიათ. თაეის დროზე გამოვქვეით ვარაუდი, რომ სტეფანოზ მამფალი ატენის ხიონის ქტიტორთა უმცროსი თაობის წარმომადგენელია. უდავოდ საუბრადღებოდ მიგვანია ის ფაქტი, რომ ატენის ხიონის ახლად გამოვლენილ გრაფიტიებში ერთად არიან დასახელებული ვარაზი, ნერსე და სტეფანოზი. რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი არიან ატენის ხიონის ქტიტორთა ერთი ფეოდალური ხახლის, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

ნუსხური დამწერლობის ჩვენამდე მოღწეულ უველაზე აღრეულ ნიმუშად, კარგა ხანა, ხინახ მრავალთაეის 884 წლით დათარიღებული ანდერძი იყო მიჩნეული.³⁴ ამ რამდენიმე წლის წინ, ატენის ხიონში მივაყვლიეთ მახზე აღრეული, 835 წლით დათარიღებულ ნუსხურ წარწერას, რომელიც დღემდე ნუსხური დამწერლობის უძველეს ძეგლად ითვლებოდა. ამავე ატენის ხიონის ახლად მიყვლეული გრაფიტიები ამ თარიღს 711 წელზე გადასწევს. ამ გრაფიტიებშია მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა მხედრული დამწერლობის ქრონოლოგიისთვის.

ატენის ხიონის მხედრული წარწერების შესწავლამ საფუძველი მოგვცა ნუსხურიდან მხედრულზე თანდათანობით გადახვლის პროცესი, ტრადიციულად მიღებული XI საუკუნის ნაცვლად, XI საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც და, შესაძლოა, უფრო აღრე მომხდარ ფაქტად მიგვიჩნია. ახეთი დასკვნის საფუძველი მოგვცა 875 წლით დათარიღებულმა, ნუსხური შიფტით შესრულებულმა გრაფიტიმა, რომელიც ერთადერთი მხედრული გრაფიტია გარეული. თაეის დროზე ისიც აღინიშნა, რომ სამეფო კანცელარიაში, XI საუკუნეზე ბევრად აღრე და შესაძლოა VI-VII საუკუნეებიდანვე დოკუმენტები მხედრული დამწერლობით უნდა შესრულებულიყო.³⁵

იოანეს და გეორგის ნუსხურით შესრულებულ გრაფიტიებში საკმაო რაოდენობის მხედრული გრაფიტიები გარეული, ხოლო ცალკეული ნუსხური გრაფიტიები ნუსხურიდან მხედრულზე გადასხვლის ნიშნითაა აღბეჭდილი. დღეს უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნუსხურიდან მხედრულზე თანდათანობით გადახვლის იმ ერთეულზე, რაც ექვმოტანლად დახტურდება VIII საუკუნის დამღვევისათვის იოანესა და გეორგის გრაფიტიებით.

იოანეს, გეორგის და ნერსეს გრაფიტიების შესწავლა შემდეგი დასკვნის საფუძველს გვაძლევს:

ატენის ხიონის მრავალრიცხოვან წარწერათა შ. (ერქერობით, უძველეს) წლით დათარიღებული იოანეს გრაფიტი. ამავე ხანას განეკუთვნება გეორგი სტეფანოზის ძის მისა

ხსენებული. ნერსეს გრაფიტი VIII ხაუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული.

ახლად მიკვლეული წარწერების ცნობათა ხაფუძეულზე შემოწმდა სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიაში მოტანილი თარიღების: მისი ზეობის (711), გარდაცვალების (739) მთავრობის ხანგრძლივობის (29) ხისწორე. ამდენად, რეალურად მიგვაჩნია არჩილ II-ის ზეობის წელიც (719), რაც სტეფანოზის ეპიტაფიის ქრონოლოგიიდან გამოივითვალეთ.

უხაფუძლოა ატენის სიონის IX ხაუკუნით გადათარიღების ცდა. ახეთი ვარაუდისათვის გადაულახავია 739 წლით დათარიღებული სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია და 711 წელს შესრულებული გრაფიტები. 711 წელი ატენის სიონის ბათქაშის მხოლოდ ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად თუ გამოდგება, რაც იმას ნიშნავს. რომ ტაძარი უფრო ადრეა აგებული.

არც ის პალეოგრაფიული არგუმენტაცია აღ-

მოჩნდა მისაღები, რის ხაფუძეულზეც გადათარიღდა სტეფანოზის ეპიტაფია. უდავოდ გადასახინჯავია ახეთი პალეოგრაფიული ნიშნების ქრონოლოგია.

არც ის იდენტიფიკაცია აღმოჩნდა სწორი. თითქოს. ეპიტაფიაში დახაზულებული „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი“ — სტეფანოზ მამფალი, მისრისა და არჩილის მამა, სტეფანოზ II უნდა ყოფილიყო. ახლად გამოვლენილმა გრაფიტებმა გვაჩვენებს, რომ ეპიტაფიაში დახაზულებული სტეფანოზი ძეა ნერსესი და შვილიშვილი ვარაზისა, როგორც ეს თავის დროზე იყო ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული.

ატენის ქვეყანა ბაგრატიონთა ხაზლის იქ ერთი შტოს სამეფვიდრო დომენია, რომელთა ქტიტორობითაც აუჯიათ ატენის სიონი. ატენის სიონის აღმოსავლეთის ფახადს ვარაზის, ნერსეს და სტეფანოზის ქტიტორული გამოსახულებანი ამკობდა.

შენიშვნები:

- 1 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 13-15.
- 2 გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 7-64.
- 3 იქვე.
- 4 ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1978, გვ. 98-101.
- 5 ბ. სილაგაძე, ხაზართა ერთი ლაშქრობის შესახებ VIII საუკუნეში, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1, თბ., 1980, გვ. 105-115.
- 6 ვ. ართილაყვა, ატენის სიონის ინტერიერის არქეოლოგიური გაწმენდის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, თბ., 1973, გვ. 102-116.
- 7 ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ.
- 8 ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ.
- 9 ლაიდარული წარწერები, შეადგინა დ. გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, I, თბ., 1980, გვ. 40-44.
10. Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Исследование по истории грузинского искусства, Тб., 1948, გვ. 44-49, 115-117, 121-123, 156-176.
- 11 ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა. შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 34. 37.
- 12 იქვე, გვ. 50-54.
13. Т. И. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Миквела Маглакели в Мацхвариши, „ქართული ხელოვნება“, 4, თბ., 1955, გვ. 176, სურ. 3.
- 14 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენი-

- ლი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1, თბ., 1955, გვ. 218. 15 იქვე, გვ. 222.
- 16 ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 203.
17. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 239.
- 18 გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.
19. ქართული სამართლის ძეგლები, II.
- 20 იქვე, გვ. 104.
- 21 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.
- 22 იქვე, გვ. 365.
23. Ю. Куликовский, История Византии, т. III, Киев, 1915, გვ. 285-313.
- 24 ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 110.
25. Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 76
- 26 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 38, 39
- 27 ლაიდარული წარწერები, I, გვ. 267.
- 28 გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 57-59.
29. Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ. გვ. 121-123.
- 30 იქვე, გვ. 143, 144, ტაბ. 19, 21.
- 31 იქვე, გვ. 121, 123.
32. Н. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии. Тб., 1977, გვ. 41-49
- 33 იქვე, გვ. 46.
- 34 გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობე წარწერები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 2, თბ., 1976, გვ. 170-171.
- 35 გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, „ციცქარი“, №№ 5, 6, თბ., 1978, გვ. 135-144, 128-137.